

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

კესო ხორავა

**თსუ-ს სტუდენტების მიერ ელექტრონული ბაზების გამოყენება
აკადემიური მიზნებისთვის**

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნინო შარვაშიძე,
განათლების ადმინისტრირების დოქტორი,
მოწვეული დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ელექტრონული ბაზების გამოყენების კვლევას აკადემიური მიზნებისთვის.

საზოგადოდ ცნობილია, რომ გლობალიზაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარების ეპოქამ შექმნა ახალი შესაძლებლობები, რამაც ადამიანები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის განათლებაშიც.

ბიბლიოთეკები არის ელექტრონული ბაზების მიმწოდებელი ინსტიტუციები, რომლებიც გამუდმებით უნდა ზრუნავდნენ მომსახურების გაუმჯობესებაზე, რათა დააკმაყოფილონ სამიზნე აუდიტორიის მოთხოვნები, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. ამრიგად, დროის ცვლილებასთან ერთად, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო მომსახურება და ელექტრონული ბაზა მუდმივ ცვლილებას უნდა განიცდიდეს, რათა მიაწოდოს მომხმარებელს მისთვის საჭირო მომსახურება მარტივად, სწრაფად და ხარისხიანად.

იმისათვის, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუშაობა იყოს ეფექტური, მათ მიერ მიწოდებული სერვისი კი გამოყენებული სტუდენტთა ფართო აუდიტორიის მიერ, აუცილებელია ჩატარდეს კვლევები, რაც მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ ბიბლიოთეკის მიერ მიწოდებული რესურსებისა და სერვისების მოხმარების კოეფიციენტი, სტუდენტთა საჭიროებები, მოლოდინები და მოთხოვნები. ამ მიზნით ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ელექტრონული ბაზების გამოყენების კვლევა აკადემიური მიზნებისთვის. ჩატარებული კვლევის ძირითად საკვლევ საკითხებს წარმოადგენს სტუდენტები მიერ ელექტრონულ ბაზების გამოყენების სიხშირის და მიზნების დადგენა, მიღებული მომსახურებით კმაყოფილების დონე, ინფორმაციის მოძიების პროცესში წამოჭრილი პრობლემები და შეზღუდვები, და ბოლოს, შეთავაზებული ბაზების შესაბამისობა სტუდენტთა საჭიროებებთან.

კაცობრიობის პროგრესს ცოდნის მოპოვებით და გადაცემით განიხილავენ, სწორედ დაგროვილი ინფორმაციის გადაცემას ემსახურება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული ბაზები. უნივერსიტეტის ერთ-ერთი მისია სამეცნიერო კვლევების განვითარებაა, ელექტრონულ ბაზების მეშვეობით კი სტუდენტებს აქვთ მეტი ხელმისაწვდომობა ამა თუ იმ მართულების კვლევებთან, ემპირიულ გამოცდილებასთან, რაც მათ ეხმარება თავისი მიმართულებების კვლევასა და განვითარებაში. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საკვლევი თემის **აქტუალობაც ცხადია.**

პრაქტიკული თვალსაზრისით, ნაშრომის უპირატესობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ამ კუთხით უნივერსიტეტში კვლევა არ ჩატარებულა და წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს **სიახლეს.**

კვლევის **მიზანია** თსუ-ის სტუტენტების მიერ ელექტრონული ბაზების აკადემიური მიზნებისთვის გამოყენების კვლევა

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- მეორადი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება;

ნაშრომის კვლევის **საგანს** თსუ-ის სტუდენტების მიერ აკადემიური მიზნებისთვის ელექტრონული ბაზების გამოყენება წარმოადგენს.

კვლევის **ობიექტია:** სასწავლო პროცესში თსუ-ის სტუდენტების მიერ აკადემიური მიზნებისთვის ელექტრონული ბაზების გამოყენების პრაქტიკა.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ძირითადი შედეგები. განვრცობილი და დაზუსტებულია პასუხები ნაშრომის ძირითად საკვლევ თემაზე და ბოლოს ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები.

Khorava keso

Consumption of the electronic databases for the research purposes by the students of Tbilisi State University

Annotation

The following Master's thesis tries to research the consumption of electronic databases for the academic purposes by the students of the Tbilisi State University.

It is well known, that the age of rapid globalization and development of information technologies have created the new opportunities and people face new challenges in all spheres of their lives, especially in education.

The libraries, as supplier institutions of the electronic databases, have to ensure development of their services in order to satisfy the demands of the target audience by considering the modern tendencies. Hence, in course of a time, library services and electronic databases of the university have to be changing systematically to provide costumers with all necessary products easily, quickly and qualitatively. In order to ensure effectiveness of the university library and use of its services by wide range of students, it is necessary to conduct a research. The research will allow us to calculate the consumption coefficient of the library services and recourses and to reveal students' needs, expectations and demands. For this reason, the research has been conducted on the consumption of the electronic databases for the research purposes by the studnets of the Tbilisi State University. The main questions of the research is to identify the frequency of electronic databases consumption by students, the level of satisfaction with provided services, the challenges that are faced in the process of information gathering and finally, the compatability of existing electronic databases with students' demands.

The progress of the mankind is measured by the knowledge obtained and distributed. That is why the purpose of the university library and electronic databases is to distribute the collected

information. One of the main goals of the Tbilisi State University is to develop scientific research. Through the electronic databases, students have easier access to the different types of research, empirical experience, which helps them to develop their research skills. Considering these circumstances, it is not difficult to understand the importance of the provided topic.

From the practical point of view, it has to be mentioned, that the thesis is the first attempt of conducting research on this topic at the university.

The aim of the thesis is to research the consumption of electronic databases for the academic purposes by the students of the Tbilisi State University.

In order to achieve this goal, the following tasks had been set:

- Searching and processing second sourced information
- Choosing research methodology
- Elaborating research instruments
- Elaborating research conclusions and recommendations

The subject of the thesis is: the consumption of electronic databases for the academic purposes by the students of the Tbilisi State University

The object of the thesis is: the practice of consuming the electronic databases for the academic purposes by the students of the Tbilisi State University in the education process.

The concluding part summarizes main results, answers the main questions of the thesis and provides recommendations.

სარჩევი

შესავალი	7
თავი I: ელექტრონული გამომცემლობის ისტორია	9
1.1. ტექნოლოგიების როლი და თანამედროვე გამოწვევები უმაღლესი განათლების სისტემაში.....	12
თავი II: ელექტრონული ბიბლიოთეკის როლი უმაღლეს განათლებაში	17
2.1 უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შეფასების საერთაშორისო გამოცდილება	21
2.2 ბიბლიოთეკების სერვისის კვლევის საერთაშორისო გამოცდილება	26
თავი III. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზების მიმოხილვა	30
კვლევითი ნაწილი.....	33
დასკვნები.....	40
რეკომენდაციები.....	42
გამოყენებული ლიტერატურა.....	44
დანართი 1	

შესავალი

21-ე საუკუნის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნის დაგროვებისა და ეფექტური საქმიანობისთვის ინდივიდს უფრო მეტი ინფორმაციის მიღება და გაცემა უწევს. არსებული ინფორმაციის მზარდმა რაოდენობამ და მოცულობამ, წარმოშვა მისი გავრცელების ახალი გზების ძიების აუცილებლობა. გაჩნდა მცირე დროში მეტი ინფორმაციაზე ეფექტურად და მარტივად წვდომის მოთხოვნილება. ინტერნეტ სივრცემ შესაძლებელი გახადა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ინფორმაციის სწრაფი მიღება, გამარტივდა კომუნიკაცია, რამაც გავლენა იქონია სწავლის პროცესის დაგეგმარებაზეც. ტექნოლოგიურმა რევოლუციამ განაპირობა ელექტრონული რესურსების სწრაფი გავრცელება, ხოლო ინფორმაციის მიღება ციფრული საშუალებით უფრო და უფრო მიმზიდველი გახადა ბიბლიოთეკებისთვის, შედეგად, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების განვითარების მიზნით, აკადემიური უნივერსიტეტებისთვის წარმოიშვა ციფრული ბიბლიოთეკების არსებობის აუცილებლობა. (Ross & Sennyey, 2007)

ინტერნეტისა და ვებ ტექნოლოგიების ფართო გამოყენებამ კი დიდი ზეგავლენა მოახდინა ტრადიციული ბიბლიოთეკის მართვის მენეჯმენტსა და სერვისებზე, ყველა ტიპის და ზომის ბიბლიოთეკა დღეს ნერგავს უახლეს ტექნოლოგიებს და ინოვაციებს იმისათვის, რომ აღმოაჩინოს უეთესი საშუალება ინფორმაციული რესურსების მართვისა და ორგანიზებისთვის და უზრუნველყოს მომხმარებელზე ორიენტირებული საინფორმაციო სერვისი. (Tabassum & Roknuzzaman, 2015). საბიბლიოთეკო სისტემის ეფექტური მუშაობისთვის, როგორც უცხოური უნივერსიტეტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, აუცილებელია ელექტრონული რესურსის გამოყენების მექანიზმების შესახებ დეტალური საინფორმაციო მასალის გავრცელება სტუდენტებში. (Fry & Rich, 2011)

ამრიგად, მსოფლიო საბიბლიოთეკო საზოგადოება ცდილობს ჩაატაროს კვლევები, რათა დადგინდეს სამომხმარებლო სფეროს ტენდენციები, მომხმარებელთა საჭიროებები, მოლოდინები და კმაყოფილების დონე. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემის აქტუალობაც ცხადია.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ნაშრომის უპირატესობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ამ კუთხით უნივერსიტეტში კვლევა არ ჩატარებულა და წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს **სიახლეს**.

კვლევის **მიზანია** თსუ-ის სტუტენტების მიერ ელექტრონული ბაზების აკადემიური მიზნებისთვის გამოყენების კვლევა

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- მეორადი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება;

ნაშრომის კვლევის **საგანს** თსუ-ის სტუდენტების მიერ აკადემიური მიზნებისთვის ელექტრონული ბაზების გამოყენება წარმოადგენს.

კვლევის **ობიექტია**: სასწავლო პროცესში თსუ-ის სტუდენტების მიერ აკადემიური მიზნებისთვის ელექტრონული ბაზების გამოყენების პრაქტიკა.

კვლევის **მეთოდი** და **ტიპი**: კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდით (გამოიკითხა ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები) კვლევის ინსტრუმენტი გახლდათ ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი, რომლის შემუშავების სქემასაც წარმოადგენს დამუშავებული მეორადი ინფორმაცია.

სამიზნე ჯგუფი: სტუდენტები შეირჩა მარტივი-შემთხვევითი შერჩევით, სულ გამოიკითხა 60 სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე თანაბრად გადანაწილდა.

აღნიშნული კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში.

თავი I: ელექტრონული გამომცემლობის ისტორია

ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ შეცვალა ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და გავრცელების ფორმები. ელექტრონული გამოცემის მიზანია, გამოცემაში არსებული ინფორმაციისადმი, მომხმარებელთა სწრაფი და მარტივი წვდომა. საინფორმაციო ტექნოლოგიების წყალობით კაცობრიობა ტრადიციული ბეჭდვიდან გადავიდა ელექტრონულ ფორმატში. ელექტრონული გამომცემლობა იყენებს ახალ ტექნოლოგიებს წიგნებისა და სხვა მასალების მკითხველთან მისატანად. ვინაიდან, ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას მკითხველამდე მივიდეს ინფორმაცია სწრაფად და ეფექტურად, მან განაპირობა მრავალი ცვლილება გამომცემლობის ინდუსტრიაში და მასში მოქმედი ყველა დაინტერესებული პირისთვის. ციფრული რევოლუციის თანამედროვე ეპოქაში, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება ადამიანური ძალისხმევის თითქმის ყველა ასპექტში საგრძნობლად გაიზარდა. ელექტრონული გამომცემლობამ, რომელიც წარმოადგენს შედარებით ახალ არხს აკადემიური წყაროებისთვის, უკვე რადიკალურად შეცვალა აკადემიური პუბლიკაციების გლობალური ხელმისაწვდომობა. ამ მომენტისთვის, მკითხველებს აღარ უწევთ გამოცემების ბეჭდვა, მათ უბრალოდ შეუძლიათ მოძებნონ, მოიპოვონ და გადმოწერონ აკადემიური სტატიები ელექტრონული ჟურნალებიდან, წიგნიდან და არქივიებიდან. შეიცვალა ინფორმაციის გავრცელების ხასიათი მკვლევარებსა და შესაბამისი პროფესიული სფეროების წარმომადგენლებს შორის.

ელექტრონული გამომცემლობა განიმარტება, როგორც გამომცემლების მიერ კომპიუტერის გამოყენება, რა დროსაც ისინი პოულობენ, ამუშავებენ, ინახავენ და ანახლებენ ინფორმაციას იმისათვის, რათა შემდგომში მიაწოდონ ის შერჩეულ აუდიტორიას. ავტორი აღწერს ელექტრონულ გამოცემას როგორც არაბეჭდურ მასალას, რომელიც წარმოებულია ციფრული სახით. ფართო გაგებით, გულისხმობს ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებას პირველადი და მეორადი ინფორმაციის წარმოების, მართვისა და გავრცელების ყველა ასპექტში. (Ludwick & Glazer, 2000).

ელექტრონული გამოცემის ხელშემწყობ ორ ძირითად საშუალებას გამოყოფენ: კომპიუტერები და კომუნიკაციის ქსელი. კომპიუტერები ხელს უწყობს წარმოების პროცესს, მაშინ როდესაც, გავრცელება ხდება კომუნიკაციის ქსელით, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ჰქონდეს წვდომა ელექტრონულად წარმოებულ მონაცემებთან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული გამოცემა არის ონლაინ გარემოში ინფორმაციის წარმოების, გავრცელების, შენახვისა და აღდგენის პროცესი. (Mutula & Wamukoya, 2007).

"ელექტრონული ბიბლიოთეკები შეიქმნა მე-20 საუკუნის ბოლოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში. პირველ ელექტრონულ ბიბლიოთეკად ითვლება გუტენბერგის პროექტი (1971 წ.)"¹

ელექტრონული მონაცემთა ბაზები პირველად გაჩნდა 1960-იან წლებში, ხოლო „დიალოგი“ გახდა პირველი ონლაინ კომერციული სერვისი 1972 წელს. (Lancaster, 1995)

1975 წლისთვის, უკვე არსებობდა საჯაროდ ხელმწისავდომი 300 ონლაინ მონაცემთა ბაზა. ბიბლიოგრაფიული მონაცემების ელექტრონულ სივრცეში შექმნა და მათი ხელმისაწვდომობა მიიჩნევა მნიშვნელოვან მოვლენად ელექტრონული გამოცემის ისტორიაში. რთული ელექტრონული მონაცემთა ბაზები მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების საშუალებით შეიქმნა 1970-იან და 1980-იან წლებში. მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის გავრცელება დაკავშირებულია სხვადასხვა დისტანციურ სისტემებთან, რომლებშიც მოქმედებენ მონაცემთა ბაზის ფაილები. (Arora, 2001)

ელექტრონული პუბლიკაციების გავრცელების გზები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. CD-ROM-ის გამოჩენამ ბაზარზე ის მალევე პოპულარული გახდა, როგორც პუბლიკაციების გავრცელების საშუალება და ის დიდი ხანი არ კარგავდა აქტუალობას. CD-ROM გვთავაზობს ინფორმაციის შენახვისა და გადამუშავების ახალ განზომილებას. მიუხედავად იმისა რომ ელექტრონული ჟურნალების გავრცელება ძირითადად ხდება

¹ (გაიპარაშვილი, გიორგაძე, & კალხიტაშვილი, 2015)

ინტერნეტის საშუალებით, CD-ROM-საც აქტიურად გამოიყენებენ ამ მიზნებისთვის. არსებობს უმარავი ელექტრონული გამოცემა, მაგ: ენციკლოპედიების სახით, რომლებიც მოთავსებულია დისკებზე და არ საჭიროებენ ქსელში დაკავშირებას გამოსაყენებლად. CD-ROM-ს ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ მასში შეიძლება მოვითავსოთ დიდი ზომის ფაილები.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, CD-ROM მალევე გახდა უსარგებლო და მოუხერხებელი. www-ს გავრცელებამ მკვლევარები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ეს საშუალება იქნებოდა ყველაზე ეფექტური და ხელმისაწვდომი ინფორმაციისა თუ პუბლიკაციის გასავრცელებლად. (Willinsky, 2002)

1994-1995 წლებში გამოჩნდა პირველი ელექტრონული ჟურნალები. პირველი ასეთი გამოცემა იყო ბრიტანეთში ელექტრონული ინჟინერიის ინსტიტუტის (IEE) მიერ გამოქვეყნებული Electronics Letters Online. IEE-მა გაავრცელა ჟურნალი Online Computer Library Center-ის (OCLC) საშუალებით; OCLC-მა გამოიგონა კლიენტი, რომელსაც უწოდა Guidon და რომელიც უნდა დაყენებულიყო მკითხველის მიმღებთან. თუმცა, ვებ სერვერის გავრცელებასთან ერთად, მან აქტუალობა დაკარგა და ელექტრონული ჟურნალების გავრცელებამ გადაინაცვლა ვებ-პლატფორმაში. (Pettenati, 2002)

რედისტრიბუცია დაიწყო 1995-1996 წლებში და მალევე გახდა წარმატებული. შესაძლებელი გახდა ძალიან მდიდარი და განვითარებული PDF ფორმატის გამოყენება. დღესდღეობით, ელექტრონული გამოცემები უკვე მზადაა გადმოსაწრად PDF ფორმატში და ელექტრონული წიგნების წამკითხველი არაერთი მოწყობილობა კი მომხმარებლის ხელთაა. (Bashorun, 2013, გვ. 15)

ელექტრონული გამოცემის მახასიათებლები:

- ელექტრონული გამოცემის კონტენტი სწრაფად აღწევს მკითხველამდე;
- ტექსტის მარტივად რედაქტირების საშუალებას იძლევა;
- ყველას აძლევს საშუალებას ჰქონდეს წვდომა ქსელში შეერთებული კომპიუტერიდან და გამოაქვეყნოს მასალა ინტერნეტში;

- მსოფლიოს მაშტაბით გამოქვეყნებულ ნაშრომებს აძლევს საშუალებას არ დარჩნენ ყურადღების მიღმა;
- არ უჩნდება ისეთი დაბრკოლებები, როგორც ბეჭდურ მედიას. (Bashorun, 2013, გვ. 18-19).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ელექტრონული გამოცემის უპირატესობა ეჭვგარეშეა, ის არ კარგავს აქტუალობას და დროის სვლასთან ერთად, უფრო და უფრო დახვეწილი ხდება, რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ყველა იმ ინსტიტუციების საქმიანობაზე, რომლებიც ინფორმაციის გადაცემას ემსახურებიან.

1.1. ტექნოლოგიების როლი და თანამედროვე გამოწვევები უმაღლესი განათლების სისტემაში

21-ე საუკუნეში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) გახდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საზოგადოების ფორმირების საკითხში. მათი გავლენა რევოლუციურია. ის განსაზღვრავს ადამიანების ცხოვრების წესს და საქმიანობას ყველა სფეროში და მათ შორის განათლებაშიც.

„განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“-ში გავეცანი საქართველოს უმაღლეს განათლებაში არსებული ვითარების ძირითად ტენდენციებს და გამოწვევებს. დოკუმენტში საუბარია უმაღლეს განათლებაში ინოვაციების და ტექნოლოგიების უდიდეს მნიშვნელობაზე, რამეთუ მისი საშუალებით ხორციელდება ახალი ცოდნის შექმნა და გადაცემა, რაც ემსახურება, მაღალი ხარისხის სწავლებისა და სწავლის, სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული განათლების მიღებას. ყოველივე ამის მთავარ ხელშემწყობ პირობად კი მიიჩნევენ შესაბამის ინფრასტრუქტურას და პერსონალის სათანადო კვალიფიკაციის დონეს.

იგეგმება საგანგებო ზომების მიღება კვლევითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისათვის (რომელიც მოიცავს ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკების რეაბილიტაციას, კომპიუტერებისა შეძენას, და ა.შ.). როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, 2021

წლისთვის უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები სრულად უნდა იქნან ჩართული სწავლებისა და სწავლის პროცესში განათლების სამივე საფეხურზე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამოქმედო სტრატეგიების დოკუმენტში აღნიშნულია თუ რა გავლენა იქონია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომმა კრიზისმა 1990-იან წლებში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარებაზე. „1993 წლიდან გაფორმდა სამთავრობო ხელშეკრულებები აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს, ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის, რომლის ფარგლებშიც შექმნილი სპეციალიზებული ფონდების დაფინანსებით განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროგრამა და კვლევითი პროექტი.“²

დოკუმენტში „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“, უმაღლესი განათლების კიდევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად სახელდება ქართველი მეცნიერების ნაკლები ხელმისაწვდომობა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ინფრასტრუქტურაზე და ბაზებზე. „საქართველომ უფრო ოპტიმალურად უნდა გამოიყენოს გლობალურად ხელმისაწვდომი სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა“³. სტრატეგიაში როგორც აღნიშნავენ, ის მთლიანად არის ორიენტირებული განათლების სფერო დაუახლოვოს ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკას. რაც უბიძგებს გაითვალისწინონ ბოლონის პროცესის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები უმაღლესი განათლებისთვის.⁴

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისთვის ევროპულ მოდელებთან დაახლოება კი დიდ გამოწვევად შეიძლება ჩავთვალოთ. (კვერნაძე, 2018).

კვლევის ფარგლებში დავინტერესდი ევროპული უმაღლესი განათლების სისტემით, სადაც ტექნოლოგიების და ინოვაციების წარმატებულმა დანერგვამ ძალიან პოპულარული გახადა ელექტრონული სწავლების მეთოდები მთელი რეგიონის მასშტაბით.

² „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.გვ.39“

³ „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.გვ.43“

⁴ „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.გვ.4“

ელექტრონული სწავლება არის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერით, სასწავლო კურიკულუმის ათვისებას, რომელიც შეიძლება ხორციელდებოდეს სწავლების ტრადიციულ მეთოდთან ერთად ან დამოუკიდებლად.⁵

ევროპული განათლების განვითარება, ყველა დონეზე დაკავშირებულია მოდერნიზაციასთან, კვლევებთან და ინოვაციებთან.

ახლად აღმოცენებული ინფორმაციული საზოგადოება ამყარებს ახალ მოთხოვნებს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის უმაღლეს განათლებაში. ელექტრონული სწავლება გახდა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ციფრული საუკუნის უმაღლესი განათლების გარემოში, რაც ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და საგანმანათლებლო პრაქტიკას, რითაც ნერგავს მეტად მოქნილ მეთოდებს.

გავეცანი მიმდინარე წელს პიქსელის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციას თემაზე: "The future of education", სადაც, ბულგარეთის სამხრეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "Neofit Rilski"-ის პროფესორი Shopova. T წარსდგა თემით: „ელექტრონული სწავლება უმაღლეს განათლების საფეხურზე“, მან ისაუბრა ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებაზე და განიხილა ბულგარეთის სამხრეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის განათლების სისტემა, როგორც ერთიანი სისტემის ნაწილი. ბულგარეთის სამხრეთ-დასავლეთის უნივერსიტეტი, თავისი ვირტუალური საგანმანათლებლო სივრცით, გახდა მიმზიდველი ცენტრი სტუდენტებისთვის მთელი რეგიონის მასშტაბით. განათლების რეალურ პრობლემებზე ფოკუსირება და საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. უნივერსიტეტი ცოდნისა და უნარების შექმნის მნიშვნელოვან პირობად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებულ ელექტრონულ ბაზებს ასახელებს. უნივერსიტეტი ხაზს უსვამს ბაზების საიმედოობას და სანდოობას სამეცნიერო მიზნებისთვის. როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზები ყოველდღიურად იღებს დაახლოებით 20 000 ახალ წიგნს. კვლევის შედეგებმა

⁵ http://www.elearningnc.gov/college_elearning/

უნივერსიტეტის ფარგლებში ცხადყო, რომ პროგრამასთან წვდომა და სისტემის გამოყენება უმჯობესდება ყოველდღიურად. სტუდენტების ინფორმირება ხდება სპეციალური საიტების საშუალებით. ძიება ასევე შეიძლება გაკეთდეს 11 მონაცემთა ბაზის საშუალებით ერთდროულად. ტექნოლოგიური აღჭურვილობა უნივერსიტეტში აკმაყოფილებს განათლების სისტემის თანამედროვე განვითარების მოთხოვნებს.

იმისათვის, რომ დადგენილიყო თუ რამდენად აქტიურად იყენებენ ბულგარეთის ამ უნივერსიტეტის სტუდენტები ელექტრონულ ბაზებს ყოველდღიურ სასწავლო პროცესში, ჩატარდა რამდენიმე კვლევა, რომლის შედეგებსაც გაგაცნობთ;

კვლევის შედეგების თანახმად, იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც აქტიურად იყენებენ კომპიუტერსა და ინტერნეტს, საგრძნობლად გაზრდილია წინა წლებთან შედარებით. სტუდენტების აზრით, ეს მათ ეხმარება უკეთესად დაიმახსოვრონ სასწავლო მასალა და უკეთესად მოახდინონ საკუთარი თავის შეფასება.

უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობას ყოველდღიური წვდომა აქვს ინტერნეტთან, ისინი ინტერნეტის საშუალებით უკავშირდებიან ლექტორებს, შესაბამისად ეს ეხმარებათ დამატებითი ცოდნის მიღებაში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში სტუდენტებს აქვთ საშუალება გამოიყენონ კომპიუტერთან დაკავშირებული ყველა მეთოდები სასწავლო პროცესში. ამასთან, კომპიუტერული სისტემების ინტენსიური გამოყენება ხელს არ უშლის სწავლის პროცესში და არ უკარგავს კონცენტრაციის უნარს. აღმოჩნდა, რომ 97% სწორედ ინტერნეტს იყენებს ინფორმაციის მოსაძიებლად, ასევე ელექტრონულ მონაცემთა ბაზებს, მაგალითად, ისეთს, როგორც არის EBSCO, მეტიც ისინი დამოკიდებული არიან ამ წყაროებზე. მიუხედავად ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტები მაინც არ იყენებენ აქტიურად ელექტრონულ ბიბლიოთეკას. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ელექტრონულმა სწავლების გარემომ გახადა ისინი უფრო მოტივირებულები და გაუზარდა პასუხისმგებლობა სასწავლო აქტივობების მიმართ.

კვლევა ხაზს უსვამს იმას, რომ მაღალი შედეგების მიღწევა შეუძლებელია განათლების სისტემაში ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

დანერგვის გარეშე. სტუნდეტები აღარ არიან სისტემის პასიური მონაწილეები, ისინი აქტიურად არიან ჩართული პროცესში. მათი უნარები და კომპეტენცია იმუშავონ ეფექტურად ციფრულ ტექნოლოგიებთან არის წინაპირობა სამეცნიერო პრობლემების წარმატებული გადაჭრისთვის.

ახალი ტექნოლოგიების განვითარება და ელექტრონული სწავლების გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესში არის ბულგარეთის სამხრეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დიდი უპირატესობა. უნივერსიტეტის სტრატეგია ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ციფრული ტექნოლოგიების მეტად ინტეგრირებამ საგანმანათლებლო გარემოში შესაძლოა გაზარდოს განათლების სისტემის ეფექტიანობა და ხარისხი.

აღნიშნული მაგალითი მოწმობს, რომ ბულგარეთის უმაღლესი განათლების სისტემა, ელექტრონული სწავლების გამოწვევების საპასუხოდ ავითარებს უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზებს, იკვლევს მის ეფექტურობას, მოხმარების კოეფიციენტს და ა.შ

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რასაც ელექტრონული სწავლების მეთოდი უქადის უმაღლესი განათლების სისტემას, პირდაპირ კავშირშია სამეცნიერო ელექტრონულ ბაზების განვითარებასთან.

თავი II: ელექტრონული ბიბლიოთეკის როლი უმაღლეს განათლებაში

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებისთვის ინფორმაციის ელექტრონულ ფორმატში გადატანა უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება. ფუნდამენტური მიზეზი არის ის, რომ ელექტრონული გარემო ბიბლიოთეკებს აძლევს საშუალებას გაცილებით ფართო აუდიტორიას მიაწოდონ გაცილებით მეტი რესურსი და ამით აღმოფხვრან სივრცისა და დროის ბარიერები, რომლებიც ახასიათებს ტრადიციულ ანუ ბეჭდურ კოლექციებს. ის გამომცელები, რომლებიც მუშაობენ ინდექსებთან და სხვადასხვა ტიპის წყაროებთან და საჭიროებენ მუდმივ განახლებას, იყენებენ პირველები, ვინც დაინახეს კონტენტის ელექტრონულად გავრცელების სარგებლიანობა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ვებ-კონტენტი გაჩნდებოდა 1990-იან წლებში. მათ მალევე მიბაძეს ელექტრონულმა ჟურნალებმაც და მაშინ როდესაც, ბეჭდური ჟურნალები ჯერ კიდევ გამოიცემა, დღეისათვის, განვითარებულ სამყაროში, ელექტრონული ვერსიები უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ბიბლიოთეკებსა და მკვლევარებს შორის, ვიდრე ბეჭდური მედია. რაც შეეხება წიგნებს, ჯერ კიდევ გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბიბლიოთეკებში გვერდიგვერდ შეხვდებით დაბეჭდილ და ელექტრონულ წიგნებს. თუმცა ის ფაქტი, რომ დეველოპერები ცდილობენ ელექტრონული წიგნები მეტად მიმზიდველი და მაქსიმალურად მოსახერხებელი გახადონ მკითხველისთვის, გვამლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ახლო მომავალში ბეჭდურ გამოცემას ელექტრონული სრულად ჩაანაცვლებს. ასევე აღსანიშნავია, წიგნების წარმოების მესამე ფორმატის ანუ აუდიოწიგნების მიმართ გამოკვეთილი ინტერესი, რომელიც შესაძლოა თანამედროვე სამყაროში ძალიან პოპულარული გახდეს. (King & Tenopir, 2009)

ელექტრონული რესურსები საკმაოდ აქტიურად შემოდის გაყიდვაში და ფართოდ მიღებულია მომხმარებლისთვის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები ცდილობენ ძველი ბეჭდური პროდუქცია მაქსიმალურად ჩაანაცვლონ ელექტრონული ფორმატებით. ავსტრალიის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ასოციაციის მიერ (ALIA) 2013 წელს

გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ბიბლიოთეკაში ბეჭდური და ელექტრონული კოლექციები 50:50 თანაფარდობით იქნებიან წარმოდგენილები 2020 წლისთვის და ეს ბალანსი შენარჩუნებული იქნება უახლოესი მომავლისთვის.⁶

ელექტრონული უპირატესობის სტრატეგიის ჩამოყალიბების ძირითადი წინაპირობა იყო ინტერნეტის, როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალების გამოყენება. თანამედროვე სამყაროს ტელეკომუნიკაციის განვითარების ფენომენმა, რომლის გამოც ინფორმაციის მიღება და გადამუშავება სმარტფონებისა და სხვა საშუალებების წყალობით გაცილებით მარტივი გახდა, მომხმარებელს გაუჩინა მოთხოვნილება ის, რასაც ადრე ბეჭდური სახით იღებდა, ამჯერად მიიღოს ელექტრონული სახით და რაც მთავარია სწრაფად. შესაბამისად, ბიბლიოთეკებს მოუწიათ მომხმარებლების მოთხოვნების დაკმაყოფილება. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ვირტუალური საინფორმაციო სამყარო არის ბეჭდური საინფორმაციო სამყაროს დანამატი.

უმაღლესი განათლების სფეროში, გარდა სტუდენტისა და ლექტორის ფიზიკური ჩართულობისა სასწავლო პროცესში, საჭირო გახდა ონლაინ განზომილების დამატებაც სასწავლო გარემოში. (Amemado, 2014)

ელექტრონული უპირატესობის სტრატეგიისკენ გადასვლა ასევე განაპირობა პედაგოგიკაში განხორციელებულმა ცვლილებებმა. ბოლო წლებში სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად გამოიყენება ჯგუფური სამუშაოების მეთოდი, რაც განსხვავდება სწავლების ტრადიციული მეთოდისგან და შესაბამისად მოითხოვს გარკვეულ ცვლილებებს. ელექტრონული რესურსების შესყიდვით, შესაძლებელი გახდა იმ ადგილის გათავისუფლება, რომელსაც იკავებდა ბეჭდური გამოცემები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და მათ ადგილას შესაძლებელია შეიქმნას სივრცეები ჯგუფური დისკუსიისთვის. ელექტრონული უპირატესობის კოლექციებს აქვთ ასევე სხვა სარგებელიც; ციფრულ მოხმარებაზე გადასვლამ შეცვალა ინფორმაციის მიღების, წარმოებისა და გადამუშავების მეთოდები, მან უფრო მარტივი და უსაფრთხო გახადა ინფორმაციისა და წყაროების შენახვის პროცესი. მეორეს მხრივ, აღსანიშნავია ის, რომ

⁶ <https://www.alia.org.au/news/2324/alia-statement-future-collections-5050-2020>

ელექტრონული მასალების შესყიდვა გაცილებით იაფია, ვიდრე ბეჭდური მასალების. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეხება მხოლოდ ერთიან ანუ კოლექტიურ შესყიდვას (ბიბლიოთეკების, კომპანიების მიერ) და არა ინდივიდუალურს. მიუხედავად ამისა, ელექტრონულ რესურსებზე გადასვლა ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას წაიკითხონ და მიიღონ გაცილებით მეტი ინფორმაცია, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა ბეჭდური გამოცემების შემთხვევაში. ამასთან, კოლექციების მართვის პერსპექტივიდან გამომდინარე, ელექტრონული რესურსებს აქვთ ის უპირატესობა, რომ მათ შეუძლიათ მოხმარების ფუნქციონალურობა გაზომონ. (Wells & Sallenbach, 2015)

ციფრული ჟურნალის შექმნამ 1990-იან წლებში საგრძნობლად გაზარდა ჟურნალების მოხმარება აკადემიურ საქმიანობაში, ვინაიდან ის მოხმარებელს გაზრდილ შესაძლებლობებს სთავაზობდა აღმოჩენის, წვდომისა და მოხმარების სიმარტივის თვალსაზრისით. შესაბამისად, არავის უკვირს, რომ მოხმარებლებმა არა მარტო მარტივად მიიღეს ამ ფორმატზე გადასვლა, არამედ მასზე დამოკიდებულიც კი გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული ჟურნალების გამოყენება თავდაპირველად გარკვეულ ცოდნას საჭიროებდა, მკვლევარებმა მალევე მოახდინეს ადაპტირება გამოცემის ამ ფორმატთან. ელექტრონულ ჟურნალებთან დაკავშირებული ამ ცვლილებების შეფასებით, ბევრი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ წიგნებიც მალევე გაიზიარებდნენ ჟურნალების ბედს, თუმცა ეს ასე არ მოხდა. ჟურნალების პუპულარობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მოხმარებელს მათთან აქვს 24 საათიანი უწყვეტი, ულიმიტო წვდომა მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან, ამასთანავე მას აქვს ტექსტში ძებნისა და პორტაბელურობის ფუნქციები. (Shelburne, 2009)

ჟურნალებისგან განსხვავებით, ელექტრონული წიგნების ფორმატი არც ისე მოქნილია, ის არ სთავაზობს მოხმარებელს ისეთივე სიმარტივეს გამოყენებაში, როგორც ჟურნალები, ამიტომ მკითხველი ჯერ ისევ დაბეჭდილ წიგნს ამჯობინებს. ელექტრონულ ბიბლიოთეკებში განთავსებულ წიგნებზე ინფორმაციის მოპოვება (ვინმეს აქვს თუ არა დაკავებული იმ მომენტში, რამდენად სწრაფად შევძლებთ მის მიღებას და ა.შ.) ძალიან რთულია და ეს დისკომფორტს უქმნის მკითხველს. ამასთან, ბიბლიოთეკებსა და

გამომცემლებს შორის ურთიერთობა ელექტრონულ წიგნებთან დაკავშირებით საკმაოდ კომპლექსურია და ხშირად ანტაგონისტურ ხასიათს ატარებს. განსხვავებით ბეჭდური წიგნებისგან, რომელთა შესყიდვა უნივერსიტეტის რაოდენობას რამდენიმე ეგზემპლარად უდევს, ელექტრონული წიგნების შემთხვევაში ბიბლიოთეკა ყიდულობს ერთს და მასზე წვდომა აქვს მთელს უნივერსიტეტს. იგივე პრინციპი ვრცელდება ლექტორის მიერ სტუდენტებისთვის მასალის მიწოდების საკითხზე, რა დროსაც მცირდება სტუდენტების მხრიდან წიგნების ინდივიდუალური შესყიდვების ფაქტები. ყოველივე ეს, გამომცემლების ფინანსურად ცუდ მდგომარეობაში აყენებს. შედეგად, გამომცემლები არ ქმნიან ყველა წიგნის ელექტრონულ ვერსიას. ამასთან, ციფრული უფლებების მენეჯმენტი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს ელექტრონული წიგნებზე (მაგ. მხოლოდ ერთ მომხმარებელს შეუძლია გამოყენება და ა.შ.) თუმცა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ბიბლიოთეკებსა და გამომცემლებს შორის ორივე მხარისთვის მომგებიან ბიზნეს მოდელზე. (Guthrie, 2012)

მეორე მიზეზი, თუ რატომ არ მოხდა სწრაფად გადასვლა ელექტრონულ ფორმატზე წიგნების შემთხვევაში, არის ის რომ ჟურნალებს მკითხველი, ძირითადად მთლიანად არასოდეს კითხულობს, ის კითხულობს რაღაც ნაწილს, რომელიც ხელმისაწვდომია PDF ფორმატში, მისი ამობეჭდვაც შესაძლებელია და მასთან მუშაობაც უფრო მარტივია. ასეთი მოქნილობა წიგნების ელექტრონულ ვერსიებს არ ახასიათებთ. ამიტომ, დღევანდელი მდგომარეობით, ელექტრონული წიგნების პლატფორმა არ არის დამაკმაყოფილებელი კვლევის მიზნებისთვის. (Wilson, 2011)

რაც შეეხება, წიგნების ზოგად მოხმარებას და არა მის გამოყენებას კვლევითი მიზნებისთვის, მისი ელექტრონული ფორმატის პოპულარობა განპირობებულია ინდივიდუალურ მიდგომაზე. მაგალითად, ახალგაზრდა თაობაში ელექტრონული წიგნები გაცილებით პოპულარულია, ვიდრე შედარებით ასაკოვან თაობებში. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ელექტრონულ წიგნებს, რა თქმა უნდა, აქვთ პოტენციალი და მათი პოპულარობის ზრდა გარდაუვალია. როგორც ვარაუდობენ, 2050 წლისთვის წიგნების 80-90% უკვე ელექტრონულ ფორმატში იქნება. (Wells & Sallenbach, გვ. 13)

2.1 უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შეფასების საერთაშორისო გამოცდილება

საბიბლიოთეკო სისტემები, ზოგადი შეფასებისას, განიხილავენ თანამედროვე გამოწვევებს და ამ გამოწვევების შედეგად მიღებულ ცვლილებებს. უმაღლეს განათლებაში ბიბლიოთეკის შეფასების საერთაშორისო გამოცდილებაზე ინფორმაციის მოძიების ძირითად წყაროს წარმოადგენდა ამერიკული ბიბლიოთეკის ასოციაციის (ALA) სერვისის გაუმჯობესების, სტრატეგიული დაგეგმარებისა და საბიბლიოთეკო აქტივობების შემფასებლის Joseph R. Matthews-ის ნაშრომები. ის თავის წიგნში, “ ბიბლიოთეკის შეფასება უმაღლეს განათლებაში”, რომელიც გამოსცა 2007 წელს, აღწერს იმ უნივერსიტეტების საბიბლიოთეკო გამოცდილებას, რომელშიც საბიბლიოთეკო საქმიანობა ორიენტირებულია სერვისების დაგეგმვაზე და უკუკავშირის მიღებაზე, მომხმარებლის საჭიროებების უკეთ განსაზღვრისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით. ამისთვის კი, როგორც ავტორი აღნიშნავს, ბიბლიოთეკას და მასში მომუშავე პირებს უნდა ჰქონდეთ მაღალი კომპეტენციის დონე, თვალყურს ადევნებდნენ წამყვანი უნივერსიტეტების კვლევით პროექტებს და შედეგების გათვალისწინებით გეგმავდნენ თავიანთ სამომავლო საქმიანობას.

2011 წელს „University Leadership Council“-ის მიერ გამოქვეყნდა ანგარიში, რომელმაც გამოიწვია დებატები და დისკუსიები აკადემიურ წრეებში. ანგარიშში საუბარი იყო იმაზე, რომ, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებით გამოწვეული ცვლილებების პარალელურად, აუცილებელია, ადაპტირდეს ბიბლიოთეკებიც. ანგარიშში საუბარია ასევე იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც დგას უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკები თანამედროვე საინფორმაციო გარემოში:

1. წიგნების კოლექციების ზომა აღარ არის მნიშვნელოვანი;
2. ბიბლიოთეკების ტრადიციული მიდგომები ვერ აკმაყოფილებს აკადემიურ მოთხოვნებს;

3. ჟურნალების ფასების ზრდის ტენდენცია ითხოვს გამოცემის ალტერნატიული ფორმების შექმნას;
4. ჩნდება ბიბლიოთეკების ალტერნატივები, რომლებიც სთავაზობენ მომხმარებელს გამარტივებულ წვდომას;
5. ტრადიციულ საბიბლიოთეკო სერვისებზე მოთხოვნა კლებულობს. (Matthews, 2007)

2011 წელს ბრაიან სულივანის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომი: „Academic Library Autopsy Report, 2050“ გამოყოფილია ის ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწევს აკადემიური ბიბლიოთეკის სიკვდილს:

1. წიგნის კოლექციები დამველდა;
2. მომხმარებელთა ონლაინ სისტემების ინტერფეისები გაუმჯობესდა, რამაც ინსტრუქციები უსარგებლო გახადა;
3. ფაკულტეტებზე გაჩნდა საჭიროება სასწავლო პროგრამაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნის და შესაბამისი კონცეფციების შემოღების;
4. ბიბლიოთეკის თანამშრომლები და ბიბლიოთეკები უნივერსიტეტების IT დეპარტამენტებმა ჩაანაცვლა;
5. კომფორტის ეკონომიკამ ხარისხის ეკონომიკა ჩაანაცვლა. (Sullivan, 2011).

საბიბლიოთეკო სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა აუცილებელი გახადა საბიბლიოთეკო სერვისების კვლევა გააქტიურებულიყო. შემუშავდა საბიბლიოთეკო სერვისების შეფასების მეთოდები, ვინაიდან შეფასება არის პირველი გზა ცვლილებისკენ. ის აჩვენებს ბიბლიოთეკებს თუ რა არის საჭირო სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად, სწავლის ეფექტიანობისა და კვლევის პროდუქტიულობის გასაზრდელად. შეფასება წარმოაჩენს ბიბლიოთეკის ჩართულობის როლს აკადემიური საქმიანობის განვითარებაში.

Joseph R. Matthews თავის წიგნში “ ბიბლიოთეკის შეფასება უმაღლეს განათლებაში” მიიჩნევს, რომ აკადემიური ბიბლიოთეკის საქმიანობის განვითარება ფართო

ორგანიზაციული ხედვების ჭრილში უნდა განიხილებოდეს. ავტორის აზრით, ბოლო 20 წლის განმავლობაში შეფასება ამ სფეროში ემსახურებოდა ანგარიშვალდებულების ფუნქციას, ანუ ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ ანგარიშების წარდგენას უფროსობისთვის და არა განვითარების მიზნით. ავტორი აღნიშნავს, რომ ანგარიშვალდებულების ფაქტორი უფრო მეტად დაკავშირებულია სახელმწიფო რეგულაციებთან და სხვადასხვა ბიუროკრატიულ პროცედურებთან ანუ ვალდებულებასთან, რაც ვერ მოგვცემს სერვისი გაუმჯობესების საშუალებას. მხოლოდ ანგარიშვალდებულების ფაქტორის დაპრიორიტეტება, ვერ იძლევა მოტივაციას ორგანიზაციისთვის და ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკებისთვის, გააუმჯობესონ თავისი მონაცემები, საქმიანობა და ა.შ.

მიუხედავად ამისა, აღნიშნავენ, რომ არ არსებობს ერთიანი, მიღებული შეფასების მოდელი, თუმცა, ავტორი რეკომენდაციის სახით გვთავაზობს 4 მნიშვნელოვან კითხვას, რომელიც უნდა დაისვას შეფასების გაკეთებისას:

1. რა არის შეფასების მიზანი? მაგალითად, შეფასება შეიძლება იქნას გაკეთებული სწავლებისა და სწავლის გაუმჯობესებისთვის ან ის შეიძლება პასუხობდეს მხოლოდ ანგარიშვალდებულების მოთხოვნას.
2. რა არის შეფასების დონე? ვინ უნდა შეფასდეს? უნდა იყოს ეს შეფასება ფოკუსირებული სტუდენტებზე, კონკრეტულ კურსებზე და პროგრამებზე, ცალკეულ დეპარტამენტზე, თუ მთლიანად უნივერსიტეტზე?
3. რა არის შეფასების ფოკუსი? შესაძლო შედეგები გვთავაზობს ფართო არჩევანს კვლევის დიზაინში, დაწყებული ცოდნით და დამთავრებული უნარებით, დაწყებული დამოკიდებულებით და დამთავრებული ქცევით.
4. შეფასების რა რესურსები მოიპოვება? რა დონის ადამიანურ და მატერიალურ რესურს ფლობს უნივერსიტეტი? მონაცემების დამუშავების რა მეთოდები არსებობს? (Matthews, 2007, გვ. 5)

სხვა ავტორების აზრით, შეფასება აკადემიურ გარემოში შეიძლება იყოს ეფექტური თუ გავთვალისწინებთ შემდგომ ფაქტორებს:

- ✓ შეფასებას უნდა არეგულირებდეს კონცეპტუალური ჩარჩო.
- ✓ შეფასების აქტივობები უნდა იყოს რეგულირებული კონკრეტული გეგმის მიხედვით, მუდმივად უნდა ხდებოდეს მათი გადახედვა და განახლება.
- ✓ შეფასების აქტივობებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თავად უნივერსიტეტის მხრიდან, ვინაიდან ის ეხმარება მას სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაში და ეს მის ინტერესებში უნდა შედიოდეს.
- ✓ ინსტიტუტებს უნდა ჰქონდეთ ინტელექტუალური და ფინანსური შესაძლებლობები იმისათვის, რომ უზრუნველყონ შეფასების პროგრამების მხარდაჭერა.
- ✓ აუცილებლად უნდა მოხდეს შეფასების შედეგების ინტეგრაცია სწავლის პროცესში, ვინაიდან სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი გარკვეული შედეგების მიღწევა, ეს იძლევა საშუალებას არსებობდეს ჯანსაღი და სწორი კომუნიკაცია სტუნდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის. (Miller J. , 2014)

ბიბლიოთეკის თანამშრომლებს შეუძლიათ დაეყრდნონ ინტუიციას და გამოცდილებას შეფასების დროს, თუმცა, მეორეს მხრივ, მათ შეუძლიათ განავითარონ „შეფასების კულტურა“, სადაც გადაწყვეტილებები დამოკიდებულია ადგილობრივი მონაცემების ანალიზზე, რომელიც ითვალისწინებს სხვა ბიბლიოთეკებში ჩატარებული კვლევის შედეგებს და ფაქტებზე ახდენს ფოკუსირებას. შეფასებაზე დაფუძნებული ბიბლიოთეკის კულტურა ყურადღებას ამახვილებს დაგეგმვასა და სერვისების მიწოდებაზე. შესაბამისად, მონაცმეთა შეგროვება და ანალიზი შეიძლება იყოს სასარგებლო პრობლემის უფრო ზუსტი განსაზღვრისთვის და შემდგომი აქტივობების დაგეგმისთვის. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკების საქმიანობის ეფექტურობას საფუძვლად უნდა დაედოს შეფასება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ

შეძლებს უპასუხოს თანამედროვე ტენდენციებს და მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნებს.

გამოყოფენ მიზეზებს თუ რატომ არ გამოიყენება შეფასების კულტურა ბიბლიოთეკებში:

1. ლიდერობის ნაკლებობა. ბიბლიოთეკის დირექტორსა და კამპუსის ადმინისტრაციას არ აქვთ კონკრეტული შეთანხმება იმის თაობაზე თუ როგორ უნდა იყოს გამოყენებული შედეგების გაზომვა ბიბლიოთეკის ღირებულებების წარმოსაჩენად.
2. ბიბლიოთეკას არ აქვს კონტროლი მის შეფასების შედეგებზე. თუმცა მაინც შეიძლება შედეგების გაზომვის დადგენა. გაზომვის ერთ-ერთი შედეგი შეიძლება იყოს, ის რომ „ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენებას მივყავართ უკეთეს აკადამიურ წარმატებამდე“.
3. დაშვება იმისა, რომ არასასურველი შედეგები გამოყენებული იქნება ბიბლიოთეკის წინააღმდეგ.
4. კომპეტენციის ნაკლებობა. ბიბლიოთეკარებსა და ადმინისტრაციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ მათ არ აქვთ საკმარისი უნარები სტატისტიკის შეგროვებისა და გამოყენებისთვის, რაც კვლევების, ფოკუს ჯგუფებისა და დაკვირვებების საშუალებით ხდება. მათი აზრით, ასეთი უნარების განვითარება შესაძლებელია ტრენინგების საშუალებით.
5. გაზრდილი მოთხოვნა ელექტრონული რესურსებისა და სერვისებისადმი. რეალობა მოთხოვს, რომ ახალი ზომები არის მისაღები ელექტრონული წყაროების გამოყენებით მიღებული შედეგების საჩვენებლად.
6. სტატუს-ქვოს ენიჭება უპირატესობა. ბიბლიოთეკის ზოგიერთი წევრი არ არის დაინტერესებული ცვლილებებით. (Matthews, 2007, გვ. 9)

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე, და ამ პრობლემების მოგვარებაზე ფოკუსირებით, ბიბლიოთეკებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ შეფასების კულტურა, მათ ეს დაემხარებათ მოიზიდონ მეტი მომხმარებელი და საქმიანობა გახადონ ეფექტური, რაც

საფუძვლად დაედება შემდგომ კვლევებსა და ბიბლიოთეკის საქმიანობის უწყვეტ განვითარებას.

2.2 ბიბლიოთეკების სერვისის კვლევის საერთაშორისო გამოცდილება

თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით საბიბლიოთეკო სფეროს საქმიანობის სრულყოფის მიზნით, პერიოდულად მსოფლიო საბიბლიოთეკო საზოგადოების მიერ სხვადასხვა სახის კვლევები ტარდება. ჩვენი კვლევის დაგეგმვაში, კვლევის მიმართულებების და ძირითადი დირექტივების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი, სწორედ, მსოფლიო საბიბლიოთეკო საზოგადოების მიერ ჩატარებულმა მსგავსი ტიპის კვლევებმა შეიტანეს.

საზღვარგარეთ ჩატარებული კვლევებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია 2002 წელს ვაშინგტონში, ციფრულ ბიბლიოთეკათა ფედერაციის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელსაც ეწოდა, „Usage and Usability Assessment: Library Practices and Concerns“, ბიბლიოთეკათა ფედერაციაში გაწევრიანებული ინსტიტუციათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მიიღო კვლევაში მონაწილეობა. მოცემული კვლევა შემდგომში წიგნად გამოსცა Denise Troll Covery-იმ. ციფრულ ბიბლიოთეკათა საზოგადოების მიერ ჩატარებული კვლევა სწორედ მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნების გამოვლენას ისახავდა მიზნად. ამრიგად, იგი პირდაპირ კავშირშია ჩვენს კვლევასთან. კვლევის პროცესში მონაწილე აკადემიურ ბიბლიოთეკების კვლევის ობიექტს წარმოადგენდა იმის დადგენა თუ როგორ იყენებდა მომხმარებელი ელექტრონულ რესურსს, რომელ რესურსებს იყენებდნენ ყველაზე ხშირად, რა განაპირობებდა ამა თუ იმ რესურსის მოხმარების მაღალ მაჩვენებელს და რა საძიებო მექანიზმებს მიმართავდა მომხმარებელი მისთვის სასურველი მასალის ძიებისას.

კითხვარის შედგენისათვის რეკომენდაციები გამოყენებულ იქნა სწორედ კვლევის ამ ნაწილიდან. მასში დეტალურადაა გადმოცემული რა ტიპის კითხვარები გამოიყენეს

ბიბლიოთეკებმა, რატომ გადაწყვიტეს ამა თუ იმ სახის კითხვარის გამოყენება და რა შედეგამდე მიიყვანა ისინი მიღებულმა გადაწყვეტილებამ. დადგინდა რომ, მომხმარებლის პასუხები გაცილებით ზუსტი და მკაფიოა პირისპირი ინტერვიუს დროს. ამ დროს ისინი მეტ გულახდილობას ავლენენ ვიდრე კითხვარის დამოუკიდებლად შევსებისას. თუმცა, არსებობს მთელი რიგი პრობლემები ასეთი სახის გამოკითხვის ჩატარებისას. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დროის პრობლემა, რასაც ასეთი სახის გამოკითხვა ქმნის. ამასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტია კვლევის სპეციფიკა და მასში მონაწილე პირთა რაოდენობა. მრავალრიცხოვანი ჯგუფის შემთხვევაში პირისპირ ინტერვიუს ჩატარება ერთი კვლევის ფარგლებში ფაქტიურად შეუძლებელია, რატომ იყენებენ ამა თუ იმ მექანიზმს ძიების პროცესში და სხვა. მომხმარებლის პროტოკოლის შესასწავლედ საჭირო დრო 60-დან 90 წუთამდე მერყეობს. ეს მართლაც ძალიან საინტერესო საკითხია, თუმცა მის განხორციელება მცირე დროისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ჩვენი კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა. სიღრმისეული ინტერვიუებით დგინდება მომხმარებელთა უკმაყოფილებაზე გავლენას სისტემის არასათანადო მენეჯმენტი ახდენს, თუ თავად ამ მომხმარებლის გამოუცდელობა, ცოდნის ნაკლებობა, არაინფორმირებულობა, ან იქნებ ყველა ფაქტორი ერთად.

კვლევის ეფექტურად წარმართვისათვის ინსტიტუციებმა კვლევაში გამოიყენეს საქმის წარმოების ანალიზი (TLA), რომელიც დაახლოებით 25 წლის წინ ჩამოყალიბდა და ძირითადად ემსახურება სისტემური მახასიათებლების განვითარებას. ათწლეულების მანძილზე ის ჩამოყალიბდა, როგორც მეთოდი, რომელიც, შეისწავლის ონლაინ ინფორმაციული სისტემების და მისი სამომხმარებლო საზოგადოების ერთმანეთთან კავშირს. იგი ასევე გამოიყენება, როგორც ვებ-საიტების შემსწავლელი ინსტრუმენტი. TLA-წარმოადგენს ტრანზაქციულ მონიტორინგულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის საშუალებითაც სისტემა ან ვებ-სერვერი ავტომატურად იწერს კონკრეტულ ქმედებას მისი შემდგომი ანალიზისთვის. TLA იწერს მომხმარებლის მიერ ამორჩეული ქმედების ტიპს, თუ რა შინაარსისაა ის და ასევე სისტემის მიერ მოძიებულ შედეგს ამ ქმედებაზე. მაგალითად, სტუდენტი მიუთითებს შეკითხვას სამძიებრო სისტემაში, ორივე,

მითითებული შეკითხვაც და ამ შეკითხვის შინაარსიც შეიძლება იყოს დამახსოვრებული სისტემაში. ამ მოთხოვნაზე საპასუხოდ სისტემა წარმოადგენს მთელ რიგ მონაცემებს, როგორც ძიების რეზულტატს, ორივე ფაქტი, ის რომ შედეგი დააბრუნა სისტემამ და ისიც, რომ შედეგების რამოდენიმე ვარიანტი შესთავაზა მომხმარებელს, იქნება ჩაწერილი და დამახსოვრებული. TLA ჩვეულებრივ იმახსოვრებს ასეთი ტრანზაქციების დროს და თარიღს და ინტერნეტ მომხმარებლის მისამართს. მოხმარების სტატისტიკა არის უმნიშვნელოვანესი მონაცემი ბიბლიოთეკებისათვის. მოხმარების კოეფიციენტზე მოქმედი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია - მომხმარებლის ინფორმირება, რაც დადგინდა რომ პირდაპირ კავშირშია სერვისის გამოყენებასთან. საბიბლიოთეკო სერვისების დაბალ გამოყენების მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ, პროდუქტის სამომხმარებლო ინტერფეისი ძნელი გამოსაყენებელია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მომხმარებელმა არ იცის როგორ გამოიყენოს ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებული ესა თუ ის მომსახურება. ამდენად მომხმარებლის სტატისტიკა ძალზედ მნიშვნელოვანია, თუმცა მოხმარების სტატისტიკა არ ასახავს მომხმარებელთა გამოცდილებას, აღქმას და დამოკიდებულებებს. (Roknuzzaman 2015). იგი ვერ გვიჩვენებს თუ რა ფაქტორები განაპირობებენ მომხმარებლების სერვისით სარგებლობის მაჩვენებელს, მაგალითად, სტატისტიკა თუ გვიჩვენებს რომ სერვისი გამოიყენება იშვიათად, დასადგენია მიზეზი, სტატისტიკის კვალდაკვალ საჭიროა გამოირკვეს თუ რამ განაპირობა კონკრეტული შედეგი. ამისათვის კი მომხმარებლის გამოკითხვაა აუცილებელი. წიგნში „Usage and usability assessment: Library Practices and Concerns” ასევე აღწერილია კვლევის კითხვარის შედგენის პრინციპები, ვინაიდან კვლევა წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს ამა თუ იმ საკითხის პრობლემური არეების გამოსაკვეთად, კითხვარი უნდა იყოს მარტივი, ობიექტური და მოკლე. კითხვარის მცირე მოცულობა კი, რიგ შემთხვევაში, შეიძლება კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვადაც მივიჩნიოთ.

მეორეს მხრივ, დიდი მოცულობის კითხვარი რესპოდენტისათვის მეტად დამლელი და მომაბეზრებელია. მთელი კვლევის განმავლობაში ავტორი გადმოსცემს ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული კვლევის საჭიროებას საბიბლიოთეკო სფეროს გამართული, ეფექტური და წარმატებული მუშაობისათვის. იგი განსაზღვრავს ფაქტორებს

თუ რატომ ატარებენ ბიბლიოთეკები კვლევებს მომხმარებლებზე. ამის ძირითად მიზეზად წიგნში დასახელებულია ბიბლიოთეკების სურვილი გაითვალისწინონ თანამედროვე ტენდენციები, ფეხი აუწყონ ტექნიკურ პროგრესს, იყვნენ კონკურენტუნარიანები და შეინარჩუნონ წამყვანი პოზიციები. ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული კვლევების ძირითად მიზანს წარმოადგენდა გაეგოთ მათი სერვისის გამოყენების სიხშირე, სიმარტივე და წარმატებულობა, ასევე მომხმარებელთა საჭიროებები, სერვისები და სისტემები. მომხმარებელთა კმაყოფილება სერვისის მიმწოდებლების მიერ შეთავაზებული პროდუქტებით, ბიბლიოთეკის კოლექციებით, ვებ-საიტებით და სხვ. (Covey 2002).

ავტორის თქმით, კვლევის შედეგებმა სრულად შეცვალა ბიბლიოთეკის შემდგომი საქმიანობა: კვლევის შედეგებმა გამოავლინა დამატებითი საბიუჯეტო სახსრების საჭიროება, რამაც უბიძგა ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას გამოეთხოვა დამატებითი დაფინანსება საჭირო ელექტრონული ბაზების შესაძენად და მომხმარებლებისთვის სათანადო პირობების შესაქმნელად. მომხმარებლის კმაყოფილებისა და საჭიროების განსაზღვრამ ისეთი სერვისის იდეა ჩამოაყალიბებინა ბიბლიოთეკას, რომელიც სრულად გაითვალისწინებდა მომხმარებლის საჭიროებებს. კვლევის ფარგლებში ძირითად პრობლემას წარმოადგენდა საძიებო სისტემის მოუხერხებლობა. შედეგად, დაბალი პრიორიტეტს მქონე სერვისები გააუქმეს, რამაც დაზოგა ბიბლიოთეკის ფინანსები.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს მაღალი-პრიორიტეტის მქონე სერვისებისაკენ, რომელსაც აქვს დაბალი კმაყოფილების რეიტინგი მომხმარებელთა მხრიდან.

თავი III. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზების მიმოხილვა

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2009 წლიდან აქტიურად იწერს სხვადასხვა ფასიან ელექტრონულ ჟურნალებს და ბაზებს, ელექტრონულ ბაზებზე წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის ოფიციალური გვერდიდან, უშუალოდ კვლევების დეპარტამენტიდან ჩამონათვალში უნდა ავირჩიოთ ოფცია „ელექტრონული ბაზები“, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ცალკე ვებ-გვერდი არ გააჩნია. ბაზების მოკლე აღწერა განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ საიტზე, რომელსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ. თითოეულ ბაზაზე ასევე თანდართულია მონაცემთა ბაზის მოხმარების წესებიც.

გთავაზობთ იმ მონაცემთა ბაზების ჩამონათვალს, რომელიც უნივერსიტეტის ოფიციალურ გვერდზეა განთავსებული: (**Elsevier; EBSCO Publishing; Web of Science; HINARI; JSTOR; Sciencedirect; Scopus; Springer; Cambridge University Journals; GALLICA; Érudit; ALUKA; Internet Archive**).

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მივმართეთ უნივერსიტეტის საინფორმაციო-ტექნოლოგიურ განყოფილებას, სადაც ჩამოთვლილი ბაზების შესახებ გვაცნობეს, რომ: "**springer.com, Cambridge University Journals** არ იწერენ. **gallica.bnf.fr** და **Internet Archive** - არის უფასო ბაზები და **aluka.org /JSTOR** - ბაზები გაერთიანდნენ."

იმისათვის, რომ მოხმარებელს გაუადვილდეს საჭირო მონაცემთა ბაზის პოვნა, ცალკეულ ბაზებს ახლავს აღწერა, რომელსაც გთავაზობთ თსუ-ს ვებ-გვერდიდან:

EBSCO Publishing - რომელიც წარმოადგენს ჟურნალებისა და საცნობარო გამოცემების უდიდეს კოლექციას მოიცავს 11000-ზე მეტ დასახელებას (სტატიების 70% სრული ტექსტითაა წარმოდგენილი), მეცნიერებისა და ბიზნესის პრაქტიკულად ყველა

სფეროს, ამერიკის უმნიშვნელოვანესი გაზეთების სრული სტატიების ძალზე მოხერხებულ და ეფექტურ საძიებელს.

Web of Science - სამეცნიერო ლიტერატურის პოლითემატურ მონაცემთა ბაზას, რომელიც მოიცავს 256 სამეცნიერო მიმართულების 90 მლნ ჩანაწერს 18,000-ზე მეტი გავლენიანი ჟურნალიდან, 180,000-ზე მეტ საკონფერენციო მასალასა და 80,000-ზე მეტი წიგნიდან.

HINARI - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დაარსებული ელექტრონული სამეცნიერო ბაზა რომელიც მოიცავს კვლევებს ჯანდაცვის სფეროში. ამჟამად 150-ზე მეტი გამომცემლობა სთავაზობს 5000 ჟურნალს (30 ენაზე), 47000 ელექტრონულ წიგნს და 100 სხვა საინფორმაციო წყაროს .

JSTOR - მოიცავს დარგების ფართო სპექტრს, მათ შორისაა ეკონომიკა, ისტორია, პოლიტიკური მეცნიერებები, ენა და ლიტერატურა, ხელოვნება და ხელოვნების ისტორია, მუსიკა, მათემატიკა, სტატისტიკა და ასევე განათლება.

Sciencedirect - სრული ტექსტების მონაცემთა ბაზა. 13 მილიონზე მეტი სტატია 2500 ტექნიკური და სამედიცინო ჟურნალიდან. 30,000 მეტი წიგნის ცალკეული თავების სრული ტექსტი. განლაგებულია ოთხ ძირითად სექციაში: ზუსტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ინჟინერია, ბეოლოგიისა და მედიცინის, ჯანმრთელობის, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები. სტატიების რეფერატები უფასოა.

Scopus - ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზა. მოიცავს რეფერატებსა და აკადემიური ჟურნალების სტატიების ციტირების მონაცემებს. მოიცავს 54 მილიონ ჩანაწერს 1823 წლიდან დღემდე. ადამიანის მიერ დამუშავებული 5000 გამომცემლობის 22000 დასახელების სამეცნიერო ჟურნალი. ზუსტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ინჟინერია, ბიოლოგიისა და მედიცინის, ჯანმრთელობის, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები.⁷

⁷ <https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/zuzzv1vvedy6z0dmj/vrqldp6grtduuumm8/>

სანამ უშუალოდ სტუდენტებს გამოვკითხავდით, გავეცანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ზოგად დებულებას, მუხლი 3. თანახმად, ბიბლიოთეკა შედგება ადმინისტრაციისაგან, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ბიბლიოთეკებისაგან, აბონემენტის განყოფილებისაგან, სამკითხველო დარბაზებისა და წიგნსაცავისაგან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია შედგება სხვადასხვა განყოფილებებისაგან, რომელთაგან ჩვენთვის საინტერესო იყო საინფორმაციო-ტექნოლოგიური განყოფილება, რომელიც კურირებს ელექტრონულ ბაზებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველწლიურ ანგარიშში ელექტრონული ბაზების მოხმარების სტატისტიკაზე არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება, გარდა იმისა რომ, მოცემულია ჩამონათვალი იმ ბაზებისა, რომელზეც მიმდინარე წელს აქვს წვდომა უნივერსიტეტს. გთავაზობთ ამონარიდს 2015 წლის ანგარიშიდან „უნივერსიტეტში მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებების განვითარებისთვის, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის თანამედროვე ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე (BioOne, Oxford Online dictionary, Ecinlit, EbscoHost, New England Journal of Medicine, OECD-iLibrary, Cambridge Journals Collection, Jstory) წვდომას, როგორც უნივერსიტეტის შიდა ქსელიდან, ასევე გარე სივრციდან.“

ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების გამგესთან საინფორმაციო შეხვედრისას დაგვიდასტურეს, რომ არსებობს მონაცემთა ბაზების მოხმარების სტატისტიკა, რომელსაც რიგი მონაცემთა ბაზები თვითონაც კი უგზავნიან უნივერსიტეტს, მაგრამ ეს ინფორმაცია სტატისტიკურად დამუშავებული და დანართის სახით მკითხველისთვის მისაწოდებლად მზად არ არის, ამიტომ ნაშრომში ამ სტატისტიკურ მონაცემებს ვერ გამოვიყენებთ. ჩვენთან საუბრისას მათ აღნიშნეს, რომ თსუ-ს სტუდენტების მიერ ელექტრონული ბაზების გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის ჯერ არავის უკვლევია და საკითხის აქტუალობას გაუსვეს ხაზი. „საერთოდ, ამ მიმართულებით არავინ ფიქრობს, როგორც იყოს 50 წლის წინ, პრაქტიკულად ასე მოქმედებენ, მხოლოდ ტექნოლოგიები შეიცვალა - კომპიუტერი და მონაცემთა ბაზები, “

კვლევითი ნაწილი

კვლევის ზოგადი აღწერა, დიზაინი და მეთოდოლოგია.

კვლევა კონფიდენციალურია, რაც გულისხმობს იმას, რომ შედეგები წარმოდგენილი იქნება შეჯერებული სახით, პროცენტულ მაჩვენებელში და რესპოდენტების შესახებ რაიმე სახის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები კვლევის განხილვისას არ იქნება დაფიქსირებული. აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული იყო კვლევაში მონაწილე პირებიც.

კვლევის პროცესში გამოყენებულია **რაოდენობრივი კვლევის მეთოდი**. სულ გამოკითხულია 60 რესპოდენტი.

რესპოდენტებად შევარჩიეთ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები.

კვლევითი ნაწილი დაყვავით რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე, მოვიძიეთ თემის ირგვლივ არსებული ძირითადი ლიტერატურა, რამაც საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა კვლევის კითხვარი. ძირითადი ლიტერატურა მოძიებულია google.com -ის სამძიებრო სისტემის დახმარებით და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ელექტრონული სამეცნიერო ბაზებიდან. საწყის ეტაპზე შემუშავებული კითხვარი ლიტერატურის დამუშავებასთან ერთად უფრო კონკრეტული გახდა საკვლევ საკითხთან მიმართებაში. კვლევაზე მუშაობის პერიოდში, კვლევის კითხვები რამოდენიმეჯერ შეიცვალა. მეორე ეტაპზე, მოძიებული ლიტერატურის დამუშავებამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების მიერ მოწოდებულმა სტატისტიკურმა მონაცემებმა, განყოფილების გამგესთან საინფორმაციო შეხვედრამ და შემდგომმა ინტერვიუმ ელექტრონული ბაზების შესახებ, ცხადყო, რომ მომართვა ბაზებზე არც ისე მაღალია, რამაც მოგვცა საშუალება კვლევის ძირითადი მიმართულება განგვესაზღვრა და სამიზნე აუდიტორიად ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები შეგვერჩია. კვლევის მესამე ეტაპზე, მოძიებული

მონაცემების დამუშავების შემდეგ, მივიღეთ კითხვარის საბოლოო ვერსია. საკვლევი თემის სპეციფიკამ კითხვარში სხვადასხვა ტიპის შეკითხვები გააერთიანა. კითხვარს უნდა მოეცა საშუალება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ, აკადემიური მიზნებისთვის ელექტრონული ბაზების გამოყენების პრაქტიკაში, არსებული ხარვეზები გამოგვევლინა. იმ მიზნით, რომ მიგვეღო ზოგადი და კონკრეტული ინფორმაცია, კითხვარი შედგება, როგორც დახურული, ასევე ღია ტიპის კითხვებისგან. წარმოდგენილია დახურული ტიპის კითხვები, რომელიც მოიცავს დიქტომიურ კითხვებსაც. დახურული ტიპის შეკითხვებს თან ახლდა პასუხის გაცემის ინსტრუქცია, რომელიც განუმარტავდა რესპოდენტს ასარჩევი პასუხებიდან მხოლოდ ერთის არჩევის უფლება ქონდა თუ რამოდენიმესი. ამ ტიპის კითხვებმა, სამიზნე აუდიტორია მეტად ორიენტირებული გახადა კონკრეტულ საკითხზე, მოკლე დროში მივიღე ყველა საჭირო ინფორმაცია და შემდგომი ანალიზიც მარტივად და სწრაფად მოხდა, რაც ჩემი კვლევის შემთხვევაში, შეზღუდული დროის ფაქტორიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო.

კითხვარი იწყება ფაქტობრივი კითხვებით, რითაც, სამიზნე აუდიტორიის შესახებ, სახელდების სკალის მონაცემებს ვაგროვებთ. შემდეგ გრძელდება დახურული ტიპის კითხვები, კითხვები მრავალჯერადი არჩევის შესაძლებლობით, და ბოლოს, ღია კითხვა, რომელიც უკვე დამოკიდებულებების, აღქმების, მოსაზრებების და სტუდენტთა პოზიციის განმსაზღვრელ პასუხებს გვაძლევს.

კითხვარი გავავრცელე სოციალური ქსელის მეშვეობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დახურულ ჯგუფში, ალბათური შერჩევის მარტივი და გავრცელებული ფორმით, მარტივი-შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა სტუდენტები ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურიდან.

კვლევის ბოლო ეტაპია მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, ეს ეტაპი მოიცავს მიღებული მონაცემების დამუშავებას, გაანალიზებას და რეკომენდაციების შემუშავებას.

კვლევის შეზღუდვა: დროითი რესურსის სიმცირის გამო, გამოკითხულ სტუდენტთა მცირე რაოდენობა არ გვაძლევს საშუალებას შედეგები განვაზოგადოთ.

❖ მიუთითეთ სწავლების საფეხურზე თქვენი შეფასების საშუალო მაჩვენებელი

ამ კითხვაზე რესპოდენტთა 50% პასუხობს რომ მათი შეფასება არის A, 40 % ამბობს, რომ მათი შეფასება არის B, 6,7% სტუდენტებისა C შეფასებას მიუთითებენ და გამოკითხულ სტუდენტთა მხოლოდ 3, 3% აღმოჩნდა D შეფასების მაჩვენებელით.

❖ მიუთითეთ თქვენი უნივერსიტეტში დასწრების მაჩვენებელი

რესპოდენტთა 65% პასუხობს რომ მათი დასწრების მაჩვენებელი არის აქტიური, 30% კი ამბობს, რომ საშუალოა და მხოლოდ 5% მიუთითებს დასწრების პასიურ მაჩვენებელზე.

❖ რომელ უცხო ენაზე შეგიძლიათ გაეცნოთ სამეცნიერო სტატიებს?

გამოკითხულთა 65% -მა აირჩია ინგლისური ენა, 35% -მა კი აღნიშნა, რომ მხოლოდ ქართულ ენაზე შეუძლია სამეცნიერო დონის სტატიებს გაეცნოს

❖ ელექტრონული რესურსის სწავლის პროცესში გამოყენების სიხშირე

გამოკითხულთა 42% ძალიან ხშირად იყენებს ელექტრონულ რესურსს სწავლის პროცესში, ხშირად იყენებს 32%, იშვიათად იყენებს გამოკითხულ სტუდენტთა 17%, და ელექტრონული რესურსებს არასოდეს არ იყენებს სტუდენტთა 9%.

❖ უნივერსიტეტში არსებული სასწავლო რესურსები (ბეჭდური და ელექტრონული)

რამდენად ადეკვატურად მიგაჩნიათ სასწავლო პროგრამის შედეგების მისაღწევად?

გამოკითხული სტუდენტთა 57%, უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო რესურსებს სასწავლო პროგრამისთვის მეტნაკლებად ადეკვატურად მიიჩნევს, ადეკვატურად მიიჩნის რესპოდენტთა 33% და 10% აღნიშნავს, რომ რესურსები არ არის ადეკვატური.

❖ გთხოვთ მიუთითოთ ლექტორების მიერ დამატებით ელექტრონულ მასალაზე

მიუთითების სიხშირე პროგრამის ფარგლებში

გამოკითხული სტუდენტთა 47% აღნიშნავს, რომ დამატებით ელექტრონულ მასალაზე მიუთითების შემთხვევები ლექტორის მხრიდან ხშირია. მათი 35% მიუთითებს, რომ იშვიათია. 12% სტუდენტებისა აღნიშნავს რომ საკმაოდ ხშირია და 6% ამბობს რომ არასოდეს არ მიუთითებს ლექტორი დამატებით ელექტრონულ მასალებზე.

❖ სამეცნიერო ინფორმაციის გაცნობის თქვენთვის მოსახერხებელი ფორმატი

გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების ნახევარზე მეტი 53% სამეცნიერო ინფორმაციის გაცნობის მოსახერხებელ ფორმატად ბეჭდურს ასახელებს, დარჩენილი 47% კი, ელექტრონულს ანიჭებს უპირატესობას.

❖ ყველაზე ხშირად რა სახის ელექტრონულ რესურსს მოიხმართ?

კვლევაში მონაწილე სტუდენტებს ქონდათ მინიშნება რომ შეეძლოთ ერთზე მეტი პასუხი მოენიშნათ, გამოკითხულთა 53% ელექტრონულ წიგნს იყენებს ყველაზე ხშირად, სტატიები მონიშნა 43% -მა, არც ერთი პასუხი არ დაფიქსირდა ცალკე ენციკლოპედიებზე, სხვადასხვა ანგარიშები და კვლევები იკავებს 11,7%-ს და პასუხად ყველა ზემოთ ჩამოთვლის უთითებს გამოკითხულთა 25%.

❖ დაასახელეთ თქვენთვის ელექტრონულ რესურსების მოძიების ძირითადი არეალი?

გამოკითხულთა 68% Google-ს სამძიებრო სისტემას იყენებს ყველაზე ხშირად, ელექტრონული რესურსის მოსაძიებლად. მხოლოდ 15%-მა დაასახელა თსუ-ს ელექტრონული ბაზები და 17% კი მონიშნა პასუხად “სხვა სამძიებრო სისტემები”.

❖ თსუ-ს ელექტრონულ ბაზების შესახებ პირველად რომელი წყაროდან შეიტყვეთ?

სტუდენტების მხოლოდ 17%-მა დაასახელა თსუ-ს ოფიციალური გვერდი ინფორმაციის მიღების წყაროდ. კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობას 33,3%-მა ინფორმაციის მიღების წყაროდ დაასახელა ლექტორები. შემდეგ, პროცენტულად ყველაზე მეტი წილი მოდის, თანაკურსელებისგან მიღებულ ინფორმაციაზე - 23%. ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, როგორც ელექტრონული ბაზების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პირველ წყაროს, ასახელებს სტუდენტთა მხოლოდ 7%. გამოკითხულთა 20% კი აღნიშნავს, რომ არც ერთი წყაროდან არ მიუღია ინფორმაცია.

❖ რა არის თქვენი მოტივაცია ელექტრონული რესურსის მოძიებისას?

სტუდენტების 67%-მა ელექტრონული რესურსის მოძიების ძირითად მოტივაციად აკადემიური აუცილებლობა დაასახელა და მიუთითა რომ მხოლოდ მაშინ იძიებენ დამატებით ელექტრონულ რესურსს, როცა კვლევითი ნაშრომის წერა უწყევთ: (რეფერატი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვ.) დარჩენილი 33%-მა კი თვითგანვითარება მიუთითა

ელექტრონული რესურსის მოძიების მოტივაციად. აღსანიშნავია, რომ იმ სტუდენტებმა, რომლებსაც არც ერთი ელექტრონული ბაზა არ გამოუყენებიათ, კითხვა გამოტოვეს.

❖ **გთხოვთ მონიშნოთ, თსუ-ს ელექტრონული ბაზების გამოყენებისას თქვენთვის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი**

სტუდენტების უმეტესი ნაწილი 43% ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებს იმ ფაქტს, რომ ყველა ელექტრონული ბაზაზე წვდომა უნივერსიტეტის მიღმა არ არის შესაძლებელი. 31% სტუდენტებისა აღნიშნავს რომ არ აქვს ინფორმაცია რომელი ბაზა შეიძლება იყოს ადეკვატური სასურველი ინფორმაციის მისაღებად, 10% ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად მოუხერხებელ სამძიებრო სისტემას მიუთითებს, 16% სტუდენტებისა კი აღნიშნავს, რომ საერთოდ არ ფლოს თსუ-ს ელექტრონულ ბაზებზე ინფორმაციას.

❖ **ქვემოთ ჩამოთვლილი ელექტრონული ბაზებიდან რომელი გამოგიყენებიათ ერთხელ მაინც**

(Web of Science, Scopus, JSTOR, EBSCOHost, Cambridge University Journals, Elsevier, HINARI, და სხვ.)

გამოკითხულ სტუდენტთა 34%-ს არც ერთი მათგანი არ გამოუყენებია. 25% სტუდენტებისა ასახელებს Scopus-ს. რესპოდენტთა 9% გამოუყენებია Web of Science-ს, 15%-ს EBSCOHost-ი, Elsevier - 10% , Cambridge University Journals-13,7% და მხოლოდ 3% -ს JSTOR-ი.

❖ **რა შენიშვნებს და რეკომენდაციებს მისცემდით თსუ-ის ბიბლიოთეკას ელექტრონულ ბაზებთან დაკავშირებით?**

“გახდეს ქმედითუნარიანი”

“მეტი ინფორმაცია კონკრეტულ ბაზაზე, და მათ გამოყენებაზე”.

“სტუდენტებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება, რადგან ზოგმა შეიძლება საერთოდ არ იცის ამ ბაზების შესახებ.”

“შესაძლებელი უნდა გახადონ ელექტრონულ ბაზებზე წვდომა უნივერსიტეტის გარეთაც”.

“მეტი ელექტრონული წიგნი შეიქმნას.”

“იმდენად იშვიათად ვიყენებ თსუ-ს ელექტრონულ ბაზას, რომ დეტალებში ვერ ვერკვევი. შესაბამისად რეკომენდაციასაც ვერ მოგცემ, ალბათ ჯერ ცნობადობა უნდა გაიზარდოს ბაზების შესახებ”.

“უნივერსიტეტის მიღმაც სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა ელექტრონულ ბაზებზე”.

“უნივერსიტეტის მიღმა დასაშვები წვდომა, შევსულვარ საიტზე და მინახავს ბაზები თუმცა შეზღუდული წვდომის გამო არ გამომიყენებია.”

“შესაძლებელი იყოს ბაზებთან წვდომა უნივერსიტეტს მიღმა (თსუ-ს სტუდენტებისთვის)”.

“საძიებო სისტემა გახადონ უფრო კომფორტული, ან შეიძლება კომფორტულია უბრალოდ ინსტრუქციის წაკითხვა მეზარება”.

“მეტი ცნობადობა, ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის. ქართულ ენაზე ატვირთული ბევრი სამეცნიერო სტატია”.

“მეტი ინფორმაცია გვჭირდება იმ ბაზების შესახებ, რომელიც უნივერსიტეტს აქვს”.

“მეტი ყურადღება თუ შეიძლება. ზოგჯერ jstor ჰქედავს და ილიას უნივერსიტეტიდან გვიხდება ლიტერატურის მოძიება”.

“ბაზების შესახებ მეტი ინფორმაცია მოგავწოდონ და უფრო მრავალფეროვანი გახადონ”.

“ლექტორებმა უნდა მისცენ მეტ ინფორმაცია და უნდა იყოს კურსი ელ ბაზების სწორ და ადეკვატურ გამოყენებაზე”.

“არ ვფლობ ინფორმაციას ასეთი ბაზები თუ გვაქვს საერთოდ”

“ელექტრონული ბაზების უწყვეტი განახლება და ინფორმირება სტუდენტების, პოპულარული არაა ეს ბაზები, არადა შეიძლება ის ინფორმაცია, რაც ძლიან გვჭირდება და სხვადასხვა ბიბლიოთეკებში ვეძებთ ჩვენი უნივერსიტეტის ბაზაში ინახებოდეს.”

“სასურველია თუ უფრო და დიდი ელექტრონული ბაზა იქნება. ჩემი აზრით, ბიბლიოთეკებში მეტი პიარი უნდა გაკეთდეს ბაზების მიმართულებით”.

“მეტი ინფორმაცია სტუდენტებს”

“მეტი ინფორმაცია ბაზაზე”

“შეიცვალოს და გამარტივდეს ელექტრონული ფოსტით წვდომა, ძალიან მოუხერხებელია, უფრო მეტი ინფორმაცია სტუდენტებს”.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, გამოკითხული სტუდენტებიდან ყველა აღნიშნავს, რომ სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ელექტრონული ბაზების შესახებ, მათთვის მოუხერხებელია ის ფაქტი, რომ ბაზებზე წვდომა უნივერსიტეტის მიღმა შეზღუდულია, ასევე დისკომფორტს უქმნით წვდომა მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და სურთ მეტი ინფორმაციის მიღება ბაზების გამოყენებაზე და მის მნიშვნელობაზე.

დასკვნები

ელექტრონული ბაზების მომხმარებელთა კვლევის შედეგად პასუხი გაეცა კვლევის ძირითად კითხვებს:

- ✓ სტუდენტების უმეტესი ნაწილი იყენებს ელექტრონულ ბაზებს მხოლოდ კვლევით პროცესში, რაც თავისთავად ელექტრონული ბაზების საჭიროებას უსვამს ხაზს, თუმცა ამასთანავე აღმოჩნდა, რომ თვითგანივითარების მიზნით ისინი იშვიათად მიმართავენ ელექტრონულ ბაზებს, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს აღნიშნული სერვისის შესახებ სტუდენტთა არასრულფასოვანი ინფორმირებით;
- ✓ თსუ-ს სტუდენტების მაღალი აკადემიური მოსწრება, კვლევის შედეგების თანახმად, ელექტრონული ბაზების მოხმარებასთან არ არის დაკავშირებული;
- ✓ თსუ-ს ელექტრონული ბაზების სერვისის გაუმჯობესება უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს, აქამდე არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც მომხმარებლის პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენას დაისახავდა მიზნად;
- ✓ სტუდენტები სწავლის პროცესში უმეტესად Google-ის მეშვეობით ახერხებენ ელექტრონული მასალების მოძიებას. ვფიქრობ, რომ წყაროს სანდოობა სტუდენტთათვის ნაკლებად პრიორიტეტულია;
- ✓ სტუდენტები მეტ-ნაკლებად დადებითად აფასებენ იმ ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსებს, რასაც უნივერსიტეტი სასწავლო პროგრამის ფარგლებში სთავაზობს, ისინი თვლიან, რომ მოცემული მასალები ადეკვატური და გამოსადეგია;
- ✓ სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობისათვის ისინი მოსახერხებელ ფორმატად განიხილავენ, როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ რესურსებს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არჩევანის თვალსაზრისით, აქცენტს ბეჭდურ მასალებზე აკეთებენ. მოცემული შედეგი შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ პრობლემებით, რომლებსაც

სტუდენტები ელექტრონული რესურსების მოძიებისა და დამუშავების პროცესში აწყდებიან, რაც ისევ და ისევ ელექტრონული ბაზების შესახებ არასაკმარისი ცოდნითაა გამოწვეული;

- ✓ სტუდენტები ელექტრონული მასალების მოძიების ძირითად საშუალებად google-ის სამიუზო სისტემას ასახელებენ, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გაფართოებული ძიების უპირატესობას;
- ✓ თსუ-ს ელექტრონული ბაზების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები მეტ-ნაკლებად მხოლოდ ლექტორებისგან ფლობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქმიანობა, სტუდენტების ამ საკითხში გათვითცნობიერების კუთხით, საკმარისი არ არის;
- ✓ სტუდენტებს ბაზების გამოყენების მოტივაციას უკარგავს უნივერსიტეტს მიღმა ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შეზღუდვა;
- ✓ სტუდენტებს თითქმის არ გააჩნიათ ენობრივი ბარიერი სამცხიერო ლიტერატურის მიღებისას;

რეკომენდაციები

- ✓ გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა ჩატარდა დროის მცირე მონაკვეთში, მოცემული თემის შესახებ დარჩა ისეთი საკითხები, რაც დამატებით გამოკვლევას საჭიროებს, საინტერესო იქნება სისტემის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა, უფრო კონკრეტულად, გამოვლენა იმისა, თუ რა მეთოდებით არჩევენ სტუდენტები სასურველ წყაროს და ძირითადად რა პრობლემებს აწყდებიან აღნიშნულ პროცესში, რაც, ვფიქრობთ, სიღრმისეული ინტერვიუს დახმარებით იქნება შესაძლებელი;
- ✓ უნივერსიტეტში ელექტრონული ბაზების გამოყენება ჯერ არავის უკვლევია, უმჯობესი იქნებოდა, რომ ამ საკითხზე უფრო ფართო კვლევითი მუშაობის სტიმულირებას ხელი თვითონ უნივერსიტეტმა შეუწყოს, რადგან, ელექტრონული რესურსების ეფექტური გამოყენება სწავლის პროცესის გაუმჯობესების წინაპირობაა;
- ✓ სასურველია, სტუდენტებისთვის ელექტრონულ ბაზებზე წვდომისა და რეგისტრაციის პროცედურები გამარტივდეს, რათა აღნიშნული პროცესი მათთვის უფრო მიმზიდველი გახდეს;
- ✓ სასურველია, შეიქმნას ერთიანი სამძიებრო სისტემა, ვინაიდან Google-ის სამძიებრო სისტემა სწორედ მისი მოქნილი ხასიათის გამო ინარჩუნებს პოპულარობას სტუდენტებში;
- ✓ სტუდენტებისთვის მოსახერხებელი იქნება, უფრო მეტ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, უნივერსიტეტის მიღმაც თუ ექნებათ, რაც საგრძნობლად გაზრდის ელექტრონული ბაზების მოხმარების კოეფიციენტს;
- ✓ გარკვეული ელექტრონული ბაზები, რომლებიც მხოლოდ უნივერსიტეტის ტერიტორიაზეა ხელმისაწვდომი, მოხმარების პროცესს ზღუდავს, ამიტომ, სასურველია, თსუ-ს სტუდენტებს სახლიდან გაუსვლელად შეეძლოთ არსებული ბაზებით სარგებლობა. ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი საგრძნობლად გაზრდის ელექტრონული ბაზების მოხმარების კოეფიციენტს;

- ✓ მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა გავლენას ახდენს კონკრეტულ წელს მიღებული სტუდენტების რაოდენობა სამეცნიერო ბაზების მოხმარების სტატისტიკაზე;
- ✓ დასადგენია, რამდენად არის ინფორმირებული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, თუ რა სპეციფიკის მასალას მოიცავს უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზები;
- ✓ მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ვფიქრობთ, რომ საჭიროა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ჩართულობა ამ საკითხში და მათი როლის გააქტიურება;
- ✓ აშკარაა, რომ თსუ-ში სტუდენტებში ელექტრონული ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის დამატებითი აქტივობების გატარებაა საჭირო. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის ფარგლებში პერიოდული ტრენინგ-კურსების შეთავაზება სტუდენტთათვის, რომელიც ელექტრონული ბაზების მოხმარებაზე და მისი გამოყენების აკადემიურ მნიშვნელობაზე გააკეთებს აქცენტს;

გამოყენებული ლიტერატურა

- Wilson, S. (2011). Association for Computing Machinery (ACM).
- Amemado, D. (2014). Integrating technologies in higher education. *The Journal of Open, Distance.*
- Arora, J. (2001). Building Digital Libraries: An Overview . *DESIDOC Bulletin of Information Techmy.*
- Bashorun, M. (2013). THE EVOLUTION OF ELECTRONIC PUBLISHING. *Transnational Journal of Science and Technology.*
- Fry, A., & Rich, L. (2011). How Students Find and Choose e-Resources Using Library Web Sites. *The Journal of Academic Librarianship.*
- Guthrie, K. (2012). Will Books Be Different? *Journal of Library Administration.*
- King, D., & Tenopir, C. (2009). Electronic journals and changes in scholarly article seeking and reading patterns. *Aslib Proceedings.*
- Lancaster, F. (1995). *The evolution of electronic publishing.*
- Ling, T. (1996). AN OVERVIEW OF ELECTRONIC PUBLISHING. *Malaysian Journal of Library & Information Science.*
- Ludwick, R., & Glazer, G. (2000). Electronic Publishing: The Movement From Print To Digital Publication. *OJIN.*
- Matthews, J. (2007). *Library Assessment in Higher Education.* Westport, Conn: Libraries Unlimited.
- Miller, J. (2014). A Method for Evaluating Library Liaison. *Journal of Library Administration.*
- Miller, R. (2013). *Better library design.* london: Facet Publishing.
- Mutula, S., & Wamukoya, J. (2007). *Web Information Management.* Oxford: Chandos Publishing.
- Pettenati, C. (2002). ELECTRONIC PUBLISHING AT THE END OF 2001. *Advanced Technology and Particle Physics.*
- Ross, L., & Sennyey, P. (2007). The Library is Dead, Long Live the Library! The. *The Journal of Academic Librarianship.*
- Shelburne, W. (2009). E-book usage in an academic library: User attitudes and behaviors. *Library Collections, Acquisitions, & Technical Services.*
- Shopova , T. (2019). *E-Learning in Higher Educational Environment.*
- Sullivan, B. (2011). Academic Library Autopsy Report, 2050. *The Chronicle of Higher Education.*
- Tabassum, M., & Roknuzzaman, M. (2015). *Usage of a digital library system at a private university library in Bangladesh.* University of Dhaka, Department of Information Science and Library Managment.
- Troll Covey, D. (2002). *Usage and usability assessment.*
- Wells, D., & Sallenbach, A. (2015). Books and ebooks in an academic. *The Australian Library Journal*, 14.
- Willinsky, J. (2002). *Copyright contradictions in scholarly publishing.*

გაიპარაშვილი, ზ., გიორგაძე, თ., & კალხიტაშვილი, მ. (2015). *საბიბლიოთეკო საქმე*. თბილისი.
კვერნაძე, ნ. (18 01 2018 რ.). *განათლების მონაკვეთი დისტანციურ სწავლებაში*.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program "Educational Sciences"

Khorava Keso

Consumption of the electronic databases for the research purposes by the
students of Tbilisi State University

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in
Educational Sciences

Master's thesis advisor: Nino Sharvashidze,
Doctor of Educational Administration,
Invited Lecturer at TSU

Tbilisi
2019